საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/8263
29/09/2023

8263-21-2-202309291745

შპს „ჰიდრო პ. ჯორჯიას“
მის: ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი,
ბეშენოვას ქუჩა N9/ლიპტოვის ქუჩა N8 / ბეშენოვას ქუჩა N30
ელ. ფოსტა: M.baghdinovi@gergili.ge

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი N9229 განცხადება, რომელიც ეხება ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვარზე შპს „ჰიდრო პ. ჯორჯიას“ 7 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „ასპინძა ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

თქვენ მიერ წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს თან არ ახლავს გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილ განცხადებას უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

გზშ-ის ანგარიშში, თავში 11 - „სკოპინგის ანგარიშით წარმოდგენილი საკითხების გათვალისწინების ცხრილში“ სრულყოფილად არ არის ასახული N18 სკოპინგის დასკვნით (ბრძანება N365/ს; 31/07/2023) მოთხოვნილი საკითხები/ინფორმაცია. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით). ცხრილში არ არის წარმოდგენილი სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი შემდეგი საკითხები:

- გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, მათ შორის ფუჭი ქანების განთავსების ადგილების (სანაყაროები) და სამშენებლო ბანაკის მოწყობისათვის საჭირო შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ეკოლოგიური ხარჯის პროცენტული მაჩვენებლები თვეების მიხედვით, ასევე თვიური და წლიური ხარჯების

სიდიდეები 10%, 50%, 75% და 95% უზრუნველყოფისათვის, შესაბამისი ცხრილების (1; 2) სახით;

გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

- „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს მის მომზადებაში მონაწილე პირის/პირების მიერ. გზშ-ის ანგარიშში გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის მომზადებაში მონაწილე ექსპერტებისა და კონსულტანტების ჩამონათვალი წარმოდგენილია ცხრილის სახით, სადაც არ არის მოცემული ინფორმაცია ჰიდროლოგიური და გეოლოგიური ნაწილების შემსრულებლების შესახებ, შესაბამისი სპეციალისტების ხელმოწერების მითითებით, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- N18 სკოპინგის დასკვნის თანახმად, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს საპროექტო ობიექტის მშენებლობითა და ექსპლუატაციით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების დეტალური შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ბიოლოგიურ და წყლის გარემოზე), **არსებული ან/და საპროექტო ჰიდროელექტროსადგურების გათვალისწინებით,** შემარბილებელი და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით. გზშ-ის ანგარიშში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი კუმულაციური ზემოქმედების საკითხი, რაც საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სათავე ნაგებობების მშენებლობისათვის სამშენებლო წყლის ხარჯის გატარებისათვის მოეწყობა მომვლელი არხი, რომელიც კვეთს კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ს/კ: 60.11.31.443). ანგარიშში აღნიშნულია, რომ მშენებლობის დაწყებამდე მოხდება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან შეთანხმება ტერიტორიის დროებით გამოყენებასთან დაკავშირებით. გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ გამყვანი არხი გადაკვეთს შპს „პისი მაქსის“ საკუთრებაში არსებულ მიწისქვეშა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ბუფერს, რასთან დაკავშირებითაც მშენებლობის დაწყებამდე მოხდება შპს „ჰიდრო პ. ჯორჯიას“ და შპს „პისი მაქსის“ შორის შეთანხმება, რათა არ მოხდეს ბოჭკოვანი კაბელის დაზიანება. გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს შპს „პისი მაქსთან“ კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული, სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო